შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ

ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, II სართული,
ტელ/ფაქსი +995 32 237 10 09

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORAY CONSTRUCTION LTD.

Vazha-Pshavela Ave. #16, II Floor,
Tel/Fax +995 32 237 10 09

I/C 404870724

08.08.2018 წ.

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/026) მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსი 11 სართულიანია, 3 მიწისქვეშა და 8 მიწისზედა სართულით. პროექტი შესრულებულია შპს 'პროგრესი'-ს მიერ.

შენობის გეგმარებითი პარამეტრები: შენობის გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, მაქსიმალური ღერძული ზომებია: 30.10 X 14.75 მ. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც კავშირებიანი მონოლითური რკინაბეტონის სისტემა. შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლე, H=4.2 მ; შენობის მაქსიმალური მალი ღერძებში აღწევს L=6.65 მ;

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია **8 ბალიანი** სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით **(A=0.17);** გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - **II**;

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - **85 კგძ/მ²** (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - **50 კგძ/მ².**

მშენებარე შენობას ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილში შენობა-ნაგებობები არ ესაზღვრება, აღმოსავლეთ ნაწილში გამოდის ვაშლიჯვირს ძირითად გზაზე, ხოლო სამხრეთ ნაწილში ესაზღვრება ატოფარეხები მისამართებით: ქ. თბილისი ვალენტინ თოფურიძის ქუჩა #31; 31-ა; 31-ბ (ს.კ. 01.10.18.006.062; 01.10.18.006.064; 01.10.18.006.063).

შენობის დაფუძნება გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ხიმინჯოვანი საძირკვლით. ხიმინჯები ჩაანკერებულია ძირითად-კლდოვან ქანში ჩაღრმავების სიდიდე არანაკლებ 1მ-სა. ქვაბულის დამუშავებისას პროექტში გათვალისწინებულია საპროექტო შენობის სამხრეთით არსებული ნაგებობების მხარეს ქვაბულის გამაგრება-გაძლიერება.

შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ზომები:

ხიმინჯი: დიამეტრი 800მმ;
საძირკვლის ფილა: 900მმ;
სვეტები: 700X700მმ; 600X600მმ; 500X500მმ;
მონოლითური კედლები: 200მმ; 250მმ;300მმ.
კიბის პანდუსი: 180 მმ;
გადახურვის ფილები: 180მმ;
რიგელები: 500X500მმ;

პროექტი შესრულებულია ქვეყანაში მოქმედი შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად:

1) პნ 01.05-08 ,,სამშენებლო კლიმატოლოგია''
2) პნ 01.01-09 ,,სეისმომედეგი მშენებლობა''
3) პნ 03.01-09 ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები''
4) პნ 02.01-08 ,,შენობისა და ნაგებობის ფუძეები''
5) СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში, ასევე პროექტით გათვალისწინებული ღონისძებების სრულფასოვნად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ შეუქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს კერძოდ სამხრეთით მოსაზღვრე ავტოფარეხებს მისამართებით: ქ. თბილისი ვალენტინ თოფურიძის ქუჩა #31; 31-ა; 31-ბ (ს.კ. 01.10.18.006.062; 01.10.18.006.064; 01.10.18.006.063), როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც.

შპს ,,ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაქშენ“-ის
მთ. კონსტრუქტორი/მმართველი პარტნიორი:

დავით გიგინეიშვილი
ინჟინერ კონსტრუქტორი - მშენებლობის მაგისტრი